# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 184 ხუთშაბათი, 20 აგვისტო 1909 წ. № 184

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელი არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## სამუსიკო სასწავლებელი ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

გადავიდა ახალ ბინაზე: **საპიორის ქუჩა**, სახლი ყლენტისა, № 18.

მასწავლებელთა სია: (ფორტოპიანოზედ,) **კნ. ბ. ამირაჯიბისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ო. მ. პივოვაროვა ბერგისა** და **ე. ვ. ფოგელისა.** (ვიოლინოზედ,) **ა. ნ. ყარაშვილი,** (სამუსიკო ელემენტარული თეორია, 1 და 2 კურსი ჰარმონიისა, ენციკლოპედია და ხოროს კლასსები) **ზაქ. პ. ფალიაშვილი,** (ნოტების კითხვა) **გ. ი. ნატროძე.**

მოწაფეების მიღება დაიწყება ამა აგვისტოს 25-დან, სწავლა 1 ენკენისთვიდან. კანცელარია, როგორც სკოლისა, ისე საზოგადოების გამგეობისა ღიაა დილის 10 ს.-დან 1-მდე და საღამოს 5—7-მდე. (4—ნ.—1)

ექიმ ვ. ლამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—32)

## თამბაქოს ქარხანა

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

**„ტოვარიშჩ"—20 ცალი 5 კაპ.** (სამ. ფორმ.)

**„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ.** (წვრ. ფორმ.)

**შენიშვნა:** სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. **მოითხოვეთ ყველგან.**

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქრნელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (10—ნას.—6)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი **ქუთაისში** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნა, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—41)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გოროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი **ქუთაისში** ...ვლისიდამ ავადმყოფებს მიიღებს ...ის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან· მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ...ალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით ...-11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—45)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით ...—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., ... 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი. კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—6)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 სათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი ...დოვანი ა. (უ)

ახლად გახსნილი **ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფელდორიოვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—136)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—229)

**ექიმი** გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭაჭანიძისა. (100—ნალ.—12)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 139)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**იაკ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ ს.

**არღუთინსკი**—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—81)

## შპალიერი ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 1)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი **„გუთანი"**, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—8)

**გორის** მთავრობის ვაჟთა პროგიმნაზიის პედაგოგიური **საბჭო** აცხადებს, რომ ყველა განყოფილებებსა და კლასებში (მოსამზადებლიდან დაწყებული მეოთხე კლასამდე) არის **ვაკანსიები.**

მისაღები ეგზამენები დაიწყება **21 აგვისტოს.** (5—ფ.—4)


## ტფილისი 20 აგვისტო

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჩანგმა" ვერ გაიგო ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, არ მოისურვა გაიგოს ჩვენი შეხედულება იმ საქმეზე, რომლის განხორციელებაზეა დღეს ლაპარაკი. „ჩანგმა ასეთი დასკვნა გამოიყვანა ჩვენ წერილიდან: „პრინციპი ერთია, პრაქტიკა მეორე. პირველი არსებობს ქაღალდზე დასაწერად და გამოსაცხადებლად, მაგრამ უნდა უარყოფილ იქმნას, როცა პრაქტიკულად რეფორმის შემოღების დრო დადგება. აქ, მაშასადამე, უპრინციპოდ უნდა ვიხეტიალოთ, ვეძიოთ რას მოგვცემენ და ის მოვითხოვოთ"... რასაკვირველია, არაფერი ამის მზგავსი ჩვენ არ გვითქვამს, მაგრამ რა კი ამნაირი აზრი ადვილად გასაბათილებელია, „ჩანგმა" იგი მოგვაწერა ჩვენ და რიხიანად გვებრძვის.

რა საჭიროა საკამათო საგნის ასეთი გადაფუჩუჩება? საკითხი სულ უბრალოა და გადაჭრილ პასუხს მოითხოვს. მთავრობას გადაუწყვეტია, ჩვენში ერობა შემოიღოს და საზოგადოება, პრესსა ვალდებულნი არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ რეფორმის მომზადება-განხორციელებაში. ჩვენ ვიცით ის მაქსიმუმი, რომლის გამეტებას შეიძლებს ჩვენთვის მთავრობა. როცა იგი იძულებული გახდა დასავლეთ გუბერნიებში ერობა დაეწესებია, სტოლიპინმა შეხანხლა ისეთი სათვითმართველობო პროექტი, რომელმაც ერობა საპოლიციო უწყების განყოფილებად გადააქცია. 1903 წლის საერობო დებულებაც დამახინჯებული ქმნილებაა ბიუროკრატიისა, რომლის შემოღება ვნების მეტს არაფერს მოუტანს ქვეყანას. თითქმის ესევე ითქმის 1890 წლის ერობაზე: აგებული წოდებრივობის პრინციპზე, მაღალ ცენზიანი, შემოკლებულის კომპეტენციით და სრულებით დამორჩილებული ადმინისტრაციის შეხედულებასა და თვითნებობას, იგი უვარგისია და მის მიერ მოტანილი სარგებლობა მისხლებით აიწონება. აი, ამგვარ ტიპების ერობაა ადვილად მისაღწევია და საზოგადოებამ ამათგან რომ აირჩიოს რომელიმე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი „რეალური პოლიტიკა" მოწონებული იქნება სადაც ჯერ არს. ჩვენ ეს გზა დავგმეთ და დავიწუნეთ სწორედ და ვუთხარით საზოგადოებას: თუ ამნაირი ერობა გსურთ, ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა არ გსურვებიათ, რადგან აწ არსებულ ერობის დებულებანი (1903 წლისა და 1890 წ.) თვითმართველობას კი არ აწესებენ, არამედ ვიწრო წოდებრივ ორგანიზაციებს ქმნიან, რომელთა მოღვაწეობის წარმართვაც ადმინისტრაციის ხელშია. ჩვენი მოვალეობაა ამგვარ ერობათა საწინააღმდეგო ოპოზიცია შევქმნათ საზოგადოებაში და გავაბედვინოთ მას უფრო მეტის მოთხოვნა თანახმად სწორედ ჩვენის დემოკრატიულის პრინციპებისა, რომელთა დავიწყებას გვიკიჟინებს „ჩანგი".

1903 და 1890 წლების ერობათა წოდებრივობას ჩვენ დავუპირდაპირეთ უწოდებრივობა, 30 ათას მანათიან ცენზს ჩვენ დავუპირდაპირეთ მანათიანი ცენზი, ადმინისტრატიულ შეხედულებას ჩვენ დაუპირდაპირეთ ზედამხედველობა კანონიერებ ს მხრით. ამ ჩვენ სათვითმმართველობო საფუძველთა და აწ არსებულ საერობო პრინციპთა შორის უდიდესი განსხვავებაა და ვინც იმას ამბობს, ვითომ ჩვენ იმას მოვითხოვთ, რასაც გვაძლევენ, ის თავის უმეცრების მეტს არაფერს გვიმტკიცებს. მას არ სცოდნია, რას წარმოადგენს დღევანდელი ერობა, რა დიდი ზღვარია წოდებრივობისა და უწოდებრივობის შორის, საადმინისტრაციო შეხედულებისა და კანონიერების ზედამხედველობის შორის...

ამ პოზიციის ნაცვლად „ჩანგი" გვითითებს მინიმუმ-პროგრამაზე და ამბობს,—აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიის პრინციპებს უღალატებთ. ჩვენ-კი დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლა, ერობის პროექტის შემუშავების დროს, ჩვენ ჩვენი მინიმუმ-პროგრამების დაპირდაპირება მთავრობის პროექტების წინააღმდეგ არავითარ სარგებლობას არ მოიტანს. ჩვენს ქადაგებას საყოველთაო არჩევნებზე, ერობათათვის პოლიტიკურ ფუნქციების მინიჭებაზე და სხვას არავინ ყურადღებას არ მიაქცევს და ცხოვრების, დღევანდელ ცხოვრების განზე დავრჩებით, ჩვენ თავს გამოვთიშავთ პრაქტიკულ საქმიდან და ასპარეზს დავუტოვებთ იმ ელემენტებს, რომელთათვის უფრო ხელსაყრელია აწინდელი ტიპის და ხასიათის ერობა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ დავივიწყოთ დემოკრატიული პრინციპები. არა, ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი წერილი უნდა იწყებოდეს ჩვენის რწმენის გამოცხადებით, რომ გარეშე სახელმწიფო წეს-წყობილების დემოკრატიზაციისა ხსნა არ არის; მაგრამ როცა ჯერი მიდგება არჩევანზე, როცა საზოგადოებას ჰკითხავენ—რომელი გირჩევნია: 30 ათასიანი ცენზი მიწათ მფლობელობის სისტემისა თუ ერთ მანეთიანი ცენზი ქონებრივობის ან საგარდასახადო სისტემისა, როცა უეჭველად ამ ორიდან უნდა აირჩიო სადღეისოდ ერთ-ერთი, მაშინ შენივე დემოკრატიული პრინციპი გავალებს მეორე აირჩიო, თუ არ გინდა რომ სულ გამოგრიცხონ პრაქტიკულ საქმიდან... კარგად გვესმის, რომ აქ დათმობაა, მაგრამ სიტყვებს არ ვუშინდებით, როცა ვხედავთ, რა უმწეო და უნუგეშო ყოფაშია ჩვენი ქვეყანა. არავითარ დიდ იმედებს მომავალ ერობაზე არ ვამყარებთ, მაგრამ ვხედავთ აუცილებელ საჭიროებას ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციების შექმნისას და ვცდილობთ, ისეთი მაინც იქმნეს ეს ორგანიზაციები, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხის შეკავშირება შეიძლებოდეს.

## დეპეშები

პეტ. რუს. დეპეშათა სააგენტოსაგან

19 აგვისტო

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ვაჭრობის მინისტრი ნორადუნგიანი სამინისტროდან გავიდა.

ევროპის სახელმწიფოების აქაური და ოსმალეთის საფოსტო დაწესებულებები კუნძულ კრიტედან არ იღებენ ისეთ წერილებს, რომლებსაც საბერძნეთის მარკები აკრიათ.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ განიხილა წინადადება, მექარხნეების და გაფიცულ მუშების მორიგება და შუამავლობა იკისროთო და დაადგინა, მთავრობას საფუძველი არა აქვს მექარხნეების და გაფიცულ მუშების ჩხუბში ჩაერიოსო. შინაგან საქმეთა მინისტრი მთავრობის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ გაფიცვა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და ამიტომ საჭიროა გაფიცვის მეთაურებს საწინააღმდეგო ზომების მიღებაო. გაფიცვის მეთაურები უნდა გამოტყდნენ და აღიარონ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდიან და სანამ მეთაურები ამას არ იზამენ, მთავრობა შუამავლის როლს ვერ იკისრებსო.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** რამბულიეში მინისტრთა საბჭოს კრება მოხდა. კრებას არ დასწრებია გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონი. მინისტრ-პრეზიდენტმა მინისტრთა საბჭოს გადასცა, მაროკოს სულთანს მულაი-გაფიდს უკვე მოვსთხოვოთ, რომ მოსპონ როგის თანამოაზრეების დევნა.

**რომი.** ნაშუადღევის 3 საათსა და 40 წუთზე მიწა იძრა.

**როტერდამი.** ხოლერიანთა საავადმყოფოში 17 ავადმყოფია. გუშინ, 18 აგვისტოს გარდაიცვალა 2 კაცი. აგრეთვე გარდაიცვალნენ ერთი გემის შკიპერის ცოლი და შვილი. ექიმების შემოწმებით ესენი ხოლერით ყოფილან ავად. ჰფიქრობენ, რომ ხოლერა მიტომ ვრცელდება, რომ მცხოვრებლები მდინარეს გაუწმენდავ წყალსა სვამენ.

**ამსტერდამი.** გორნხემსა და პრეგდში ხოლერით ავად გახდა თითო კაცი.

**პარიზი.** გაზეთ „ვუა-დეუ-პეპლის" რედაქტორს ვინიოს სასამართლომ გადაუწყვიტა ერთი წლით დაპატიმრება და 1500 ფრანკით დაჯარიმება. გაზეთში დაიბეჭდა მილიტარიზმის საწინააღმდეგო წერილები.

**სოფია.** ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: უცხოეთის ზოგიერთ გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ ბოლგარია ოსმალეთთან საბრძოლველად ემზადებოდეს. ეს ხმა ტყუილია, ბოლგარიას სათადარიგო ჯარის-კაცები არ გამოუწვევია. შემოდგომისთვის დანიშნული ჯარის დიდი ალლუმი გადაიდო. ეს ხმა ალბად იმას გამოიწვია, რომ თავიანთ ნაწილებში დაბრუნდნენ ის ჯარის-კაცები, რომლებიც მთავრობამ საზაფხულო მუშაობის გამო დაითხოვა.

### რუსეთი

**ალექსანდროვსკი.** სოფ. კრივაია როგაში ცეცხლი ჩააქრეს. დაიწვა 450 სახლი, მათ შორის, ფოსტის სადგომი, სახაზინო არყის დუქანი, და წრევანდელი მოსავალი და საქონლის საჭმელი. ზარალი ერთ მილიონ მანეთს უდრის. უსახლკაროდ 5000 კაცი დარჩა. ერობა დახმარებას უწევს დაზარალებულთ. შესდგა კომიტეტი შემოწირულებათა შესაკრებად.

**ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია ხუთი კაცის საქმე. ამათ ბრალდებოდათ სამხედრო ორგანიზაციის წევრობა და ლიუბლინის პოლიცმეისტრის ულიხის მკვლელობა. სასამართლომ სამს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, 2 გაამართლა.

**ოდესა.** გუშინ, 18 აგვისტოს დარაჯმა (გოროდოვოი) რევოლვერით მოჰკლა ბოქაული, თავის საყვარელი, ბოქაულის მოსამსახურე ქალი, და შემდეგ თითონ მოიკლა თავი.

**ხარკოვი.** კორპოობრივის საზოგადოების მაღაროებში ცეცხლი გაჩნდა. დაიღუპა ოთხი კაცი.

**მინსკი.** დავიდგოროდკაში გადაიწვა ას თხუთმეტი სახლი.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ დაიწყო გარჩევა წყალ-ქვეშ მავალ ნავის „კამბალას" დაღუპის საქმისა. სამართალში მიცემულია გემ „როსტისლავის" უფროსი და „კამბალას" ყოფილი უფროსი აკვილინოვი.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 33, გარდაიცვალა 1, ავად არის 301 კაცი.

**მოგილევი.** სენენსკის მაზრის 4 სოფელში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3 კაცი.

**პერმი.** ქალაქში ავად გახდა 2, მაზრაში გარდაიცვალა 1 კაცი.

**რეველი.** კრენგოლმში გარდაიცვალა 1 კაცი; ტომისტში, ნარვის ახლო, ავად გახდა 8, გარდაიცვალა ორი კაცი.

**იაროსლავლი.** უკანასკნელ ოთხი დღის განმავლობაში ავად გახდნენ რიბინსკში 15, იაროსლავში 19, რომანოვ-ბორისოგლებსკში 4 კაცი; გარდაიცვალნენ, იაროსლავში 8, რიბინსკში 10 კაცი.

**პეტერბურგი.** სარატოვის და ეკატერინოსლავის გუბერნიები ხოლერის მხრივ საშიშოდ იქმნენ გამოცხადებულნი.

## აკაკი სტამბოლში

(წერილი სტამბოლიდან)

აქ გზად გიარა ევროპაში მიმავალმა აკაკი წერეთელმა.

აქაურ ქართველობას აკაკის მოლოდინი არა ჰქონდა, რადგან მისი განზრახული მოგზაურობა წინ-დაწინ არავინ იცოდა. მხოლოდ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა ვ. ჯ. წერეთელმა მიიღო წინა დღეს კერძო დეპეშა და მთელი საზოგადოება მოიწვია აკაკის დასახვედრად.

ამ დღეს დილა ადრიან სტამბულის ნავთ-სადგურში თავი მოიყარა აქაურ ქართველთა პატარა ოჯახმა. ყველას საქმისთვის თავი დაენებებინა. ლაპარაკი აკაკის სახელის გარშემო ტრიალებდა. ყველა მოუთმენელის სიხარულით ელოდა პაკეტგემს, რომელსაც ჩვენი სასიქადულო სტუმარი უნდა მოეყვანა.

პატარა ხანს უკან გემიც შემოვი-

და ნავთ-სადგურში და იმის ბაქანზე გამოჩნდა ჩვენის მცხოვან მგოსნის ჭაღარით მოსილი თავი.

ძნელი გამოსათქმელია სიტყვებით ის პირუთვნელი სიხარული და აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს იმის დანახვაზე ამ შორეულ უცხოეთში ცხოვრების ბრუნვისაგან გადმოსროლილმა ქართველებმა. დიდი, პატარა, ყველა მოეშურებოდა თავის თვალით ენახა სამშობლოს საკეთილდღეო მწარე მუშაობაში დაბერებული მოხუცი, რომლის თავზე გრგვინვით გადაიარა ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ ნახევარ საუკუნის მწარე დღეებმა. უყურებდით მას და თვალწინ გვეხატებოდა ჩვენი ქვეყნის ტკბილ-მწარე წარსული. ცოცხალის, მოძრავის ბავშვივით, გულუბრყვილო, თავის ღირსებებთან და ჭაღარასთან ერთად, უნებურად ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ მეხატებოდა.

ერთ წამს ხალხი გემზე ავიდა და აკაკის გაუვალ კედლად შემოერტყა გარს. ვლადიმერ წერეთელმა აქაურ ქართველობის სახელით სალამი მისცა და გადაიწვია სტამბოლში. ყველას გული დაგვწყდა, როცა მგოსანმა შეგვატყობინა, რომ სტამბოლზე მხოლოდ გზად გამოიარა და ევროპაში იმ ღამესვე იმავე გემით მიემგზავრებოდა.

პირველად აკაკიმ მოისურვა ენახა ქართველ კათოლიკეთა ფერიქევის მონასტერი, სადაც ებაასა ქართველ პატრებს და შეკრებილს ხალხს. ყველა გულდადებით ისმენდა საყვარელ მგოსნის თვითეულ სიტყვას. ბალღები, რომელნიც აკაკის თავს დასტრიალებდნენ, დაკვირვებულნი უსმენდნენ, თითქოს სცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ ძია აკაკის აზრებს.

ყავისა და სასმელების შემდეგ, აკაკი მიწვეულ იქმნა ივანე სიდავას და ვლადიმერ წერეთლის ოჯახებში, რის შემდეგ სტამბოლის საუკეთესო სასტუმროში გაიმართა საზოგადო სადილი.

სადილს შემდეგ მგოსანმა მოისურვა შესანიშნავ ადგილების დათვალიერება. სხვათა შორის დაათვალიერეს აია-სოფია და პარლამენტი, სადაც მას შეეგებნენ ქართველ-მუსულმანი დეპუტატები.

საღამოს სტამბოლის ქართველობა გულ-დაწყვეტილი გამოემშვიდობა საყვარელ მგოსანს.

**გადახვეწილი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ნამესტნიკის მოადგილის განკარგულება**. ნამესტნიკის მოადგილეს საჭიროდ დაუნახავს ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლის საზოგადოებებში მთავრობის მამასახლისები და დარაჯები (მცხოვრებლების ხარჯით) ექვსი თვით კიდევ დარჩნენ თავიანთ ადგილებზე. აი ეს საზოგადოებანი: გულეიკარისა, ლიხაინდრავისა (სენაკის მაზრა), ჩასავალისა (რაჭის მაზრა), მერევისა, ჩხიროულისა (შორაპნის მაზრა), აბასთუმანისა, დარსელისა, განარდელიას-მუხურისა, ჩაკვინდენისა, ყულის-კარისა (ზუგდ. მაზრა), სკარბელისა, ჩოჩხათისა, მიქელ-გაბრიელისა, ბასილეთისა, ლანჩხუთისა, შემოქმედისა, სურებისა და ასკანისა (ოზურგეთის მაზრა). რაც შეეხება ჩშაპატის, სალიქავის და ექსის სოფლის საზოგადოებებს, აქ, ნამესტნიკის მოადგილის განკარგულებით, მცხოვრებთ უფლება ეძლევათ თვითონ აირჩიონ მამასახლისები და იყოლიონ დარაჯები. დარაჯებს ხაზინა შეინახავს. (ზ.)

◆ **ნება დართული პიესები**. მოგვივიდა ივ. პოლუმორდვინოვის მიერ გამოცემული სია დრამატიულ ნაწარმოებისა ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე, რომელთა წარმოდგენაც კავკასიის სცენაზე ნება დართულია. ეს სია დიდ სამსახურს გაუწევს პროვინციელ სცენის მოყვარეთ და, საზოგადოდ, იმათ, ვინც წარმოდგენების გამართვას აპირებს. ნებართვის აღება ყოველთვის დავიდარაბას იწვევს ხოლმე. პროვინციელ ადმინისტრატორებს ნებართვის დროს შეუძლიან ამ სიით იხელმძღვანელონ. წიგნი ღირს ათ შაურად.

◆ **დღესასწაულში მონაწილეობა**. ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის 50 წლის თავის დღესასწაული. გამგეობის დადგენილებით, გუნიბის მოედანზე, ალექსანდრე ნეველის ტაძართან, გაიმართება „ინვალიდებისათვის“ ნადიმი. გამგეობისავე დადგენილებით, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენას გამართავენ. ამ დადგენილებათა განხორციელება გამგეობამ მიანდო თავის წევრს თავ. ნ. ე. არგუთინსკი-დოლგორუკოვს.

◆ **სტუდენტ ლამბაშიძის დაპატიმრება**. „რეჩს“ პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ დაპატიმრებულ სტუდენტ ლამბაშიძეს სდევნიან არა როგორც მძარცველს და შანტაჟისტს, არამედ როგორც საშიშ ტერორისტს. „ბირჟ. ვედ.“ სიტყვით, ლამბაშიძეს აბრალებენ ბავშვის გატაცებას.

◆ **იარაღის ჩამორთმევა**. ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს, სამსახურიდან გადაყენებულ პოლიციის მოხელეებს იარაღი დაუყოვნებლივ ჩამოართვან ხოლმე.

◆ **საზაფხულო თეატრი**. ხუთშაბათს, 27 აგვისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში ვ. ფალიაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: „მეჯლისი იტალიელებით“ და „რაინდი უშიშარი და გულ-მართალი“ მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ე. აბაშიძე, ა. იმედაშვილი, გ. გედევანოვი და სხვა...

◆ **ბოროტ-მოქმედებანი ტრამვაიზე**. როგორც ვწერდით, ტფილისში ჩამოვიდა ტრამვაის ახალი დირექტორი ბატაილი. დირექტორს უკვე აღმოუჩენია ბოროტ-მოქმედებანი—თურმე 28,000 მანეთის ბილეთი აკლია.

◆ **ხელოსანთა მამასახლისის არჩევნები**. 20 აგვისტოს მიხეილის ქუჩაზე, „ინტერნაციონალის“ ბაღში, მოხდება ტფილისის ხელოსანთა მამასახლისის არჩევნები.

◆ **ეგზარხოსი**. გუშინ „ტფ. ლისტ“-დან ამოვიღეთ, რომ საქართველოს ეგზარხოსად ნიშნავენ ალეუტის მთავარ-ეპისკოპოს პლატონსაო. ეხლა იგივე გაზეთი სწერს, რომ უფრო სარწმუნო კანდიდატი ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტიაო.

◆ **თეატრი**. 18 აგვისტოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მთელი საღამო მოანდომა ქართულ თეატრის იჯარის ასაღებ პირობების შემუშავებას. გამგეობა თავის პირობებს ამ დღეებში წარუდგენს დეპუტატთა საკრებულოს.

◆ **წვრილი კრედიტის საზოგადოება ქართლში**. სოფელ ხიდისთავის საზოგადოებამ, რამდენიმე კაცის მეთაურობით, შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე წვრილ კრედიტის საზოგადოების დაარსების შესახებ. სოფელ ხიდისთავს გარდა ამ საზოგადოებაში მონაწილეობას მიიღებენ ს. უფლისციხელები, გარდატნელები და სხვანი. ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს გორელმა ხელოსნებმა. იმედი აქვთ ამ ხნის განმავლობაში ნებართვას მიიღებენ და მოქმედებას შეუდგებიან.

◆ **ქართველები მიუნხენში**. ამჟამად მიუნხენის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 10 ქართველი. ამათგან პოლიტეხნიკუმში სწავლობს 6 კაცი, უნივერსიტეტში—3, სამხატვრო აკადემიაში—1. წრეულს დაამთავრა უნივერსიტეტი ერთმა ქართველმა, იორდან გოცაძემ, საექიმო ნაწილი მედიცინის დოქტორის ხარისხით.

◆ **ერობის შესახებ**. 18 აგვისტოს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდა ერობის შესახებ საგუბერნიო ბიუროს სხდომა. როგორც აღვნიშნეთ, ბიურომ შესაძლებლად სცნო საგუბერნიო კრებაზე, რომელიც შემოდგომაზე მოხდება, 120 კაცი მოიწვიოს. აგვისტოს სხდომაზე ზოგი წინააღმდეგი იყო ამდენი ხალხის მოწვევისა. ასეთ კრებაზე შეუძლებელი გახდება საქმის გაკეთებაო. ბიურომ დაადგინა, საგუბერნიო კრებაზე მოწვეულ იქნას 60 კაცი. სამოც კაცში ნამესტნიკის გარკარგულებით 12 წარმომადგენლის მოწვევა სავალდებულოა, მათ შორის გუბერნიის მარშლისა და ტფილისის ქალაქის თავისა. ამავე სხდომაზე ბიურომ გამოარკვია, ვინ უნდა იქნენ მოწვეულნი. გლეხთაგან მოიწვევენ თითო კაცს ყველა იმ მაზრიდან, სადაც მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება 160,000 სულს, ხოლო იმ მაზრიდან სადაც მეტი გლეხობაა—მოიწვევენ ორ-ორ წარმომადგენელს. თავად-აზნაურთაგან მიწვეულ იქმნებიან მარშლები; სადაც მარშლები არ არიან—მემამულეთა წარმომადგენელნი; ქალაქიდან—ორ-ორი წარმომადგენელი; მრეწველ-ვაჭართაგანაც—ორ-ორი წარმომადგენელი.

◆ **გამსესხებელი კასსა**. ტფ. წვრილ ვაჭართა მთავარმა კომიტეტმა განიხილა მოხსენება თავმჯდომარისა გამსესხებელ კასის დაარსების შესახებ. საზოგადოებას წესდებით უფლება აქვს ასეთ კასის დაარსებისა, რომლის საწარმოო თანხისთვის თითოეული წევრი იხდის არა ნაკლებ 10 მან. ერთ-დროულად. კომიტეტმა დაადგინა, შეუდგეს ეხლავე, წესდების თანახმად, გამსესხებელ კასის დაარსებას.

◆ **სტიპენდიები**. დღეს, 20 აგვისტოს, წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას სხდომა ექნება მიმდინარე საქმეების განსახილველად. სხვათა შორის გამგეობა განიხილავს თხოვნებს ზუბალაშვილის სახელობის ორი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. გამგეობას 200 თხოვნა აქვს მიღებული.

◆ **დეპუტატი ტიმოშკინი**. „კასპის“ სიტყვით ამ დღეებში ბაქოში ჩასულა კავკასიის რუს მცხოვრებთა დეპუტატი ტიმოშკინი 14 აგვისტოს. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ სადგომში ტიმოშკინს წაუკითხნია მოხსენება სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე ფრაქციების მოქმედების შესახებ.

◆ **დაპატიმრება**. ტფ. პოლიციას ცნობა მიუღია, რომ პოლიციის მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე, ორი უცნობი ექსპროპრიაციას ეწევაო. პოლიციამ კაცები ჩაასაფრა და 18 აგვისტოს, საღამოს 6 საათზედ, დააპატიმრა ერთი უცნობი. უცნობი სახლში შესვლისათანავე დააპატიმრეს; როდესაც ეს გაიგო გარედ დარჩენილმა მისმა ამხანაგმა, დაუძახა ქართულად: „კოლია, რა მოგივიდაო“ და როდესაც გაიგონა, რომ დამაპატიმრესო, 6-ჯერ რევოლვერი გაისროლა და გაიქცა. პოლიციელმა მსროლელს სროლითვე უპასუხა, შემდეგ დაპატიმრებული ამხანაგს გადასცა და გაქცეულს გამოუდგა. უცნობი მიიმალა. დაპატიმრებული აღმოჩნდა ტფ. მაზრის ნორიოს მცხოვრები ნიკოლოზ ფადიაშვილი. ფადიაშვილს აღმოაჩნდა რევოლვერი. ფადიაშვილი საგენერალ-გუბერნატოროდან ყოფილა გადასახლებული, მაგრამ დაბრუნებულა.

◆ დღეს, 20 აგვისტოს, საღამოსთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ პირველი სექციისა.

◆ რედაქციამ მიიღო სომხური სახელმძღვანელო „დასჭინკერ“ ი. წიგნი იხმარება პირველ დაწყებით სკოლებში. ჩართულია მრავალი ფერადი სურათი. წიგნი შედგენილია ჩილინგარიანისა და რამშაჩიანისაგან. ფასი 50 კაპ.

◆ **სხვა და სხვა ამბები**. 18 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიულად გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ანდრია შ[illegible]რაბიშვილი. ამავე დღეს დააპატიმრეს თელაველი სარქისა ოსიპოვი, რომელმაც მუქარით აკოფ სარქისოვის დუქნიდან 15 მანეთი და ნივთები გაუტანია. პუშკინის ქუჩაზე 18 აგვისტოს დააპატიმრეს ივანე ელიოზ. ძე მაისურაძე, რომელიც თავის ძმას დუქანში შეჭვარდნია და მოკვლა განუზრახავს. ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული და თავის ნებით გამოქცეული ვლად. ვალიევი 18 აგვისტოს დააპატიმრეს. 18 აგვისტოს გიორგი ნაზარიანცმა, მთვრალმა, დანით დასჭრა ნიკოლოზ და ალექსანდრე სულხანიშვილები და იასებ მიქელაძე. დაჭრილებმა ნაზარიანცი დააპატიმრეს და პოლიციას გადასცეს. დაჭრილი მიქელაძე საავადმყოფოში გაგზავნეს. ჩხრეკის დროს 18 აგვისტოს ხარფუხში დააპატიმრეს 5 უპასპორტო კაცი.

# მოწერილი ამბები

**ს. ამაშუკეთი**. (ძირულის ხეობა). არა ერთხელ თქმულა და დაწერილა გაზეთებში, რომ ამაშუკეთის წიგნ-საცავ სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშიაო, მაგრამ წევრები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამისთანა სიმპატიურ დაწესებულებას. პირველ ხანებში საკვირველის სიხარულით მიეგება აქაური საზოგადოება და ინტელიგენცია. წევრნი ბლომად ჩაეწერნენ. პირველ ორს წელიწადს თითო წევრი იხდიდა წელიწადში სამ მანეთს. ამას გარდა ზოგი კიდევ წიგნებით ეხმარებოდა, ზოგიც გაზეთებს უწერდა. რასაკვირველია, სამკითხველოს მკითხველიც ბლომად ჰყავდა. მას შემდეგ გადის აგერ მეექვსე წელიწადი და ამ ექვსს წელიწადში საწევრო ფული არც ერთს წევრს არ შეუტანია, არც არავის წიგნებით აღმოუჩენია დახმარება. დღეს სამკითხველოს არა აქვს არც ერთი გაზეთი გამოწერილი, არც ახალი ცოცხალი შინაარსის წიგნები მოეპოვება. ძველი გაზეთები და ჟურნალები ბევრი ჰყრია შიგ, მაგრამ მისი კითხვის ხალისი ვის ექნება ეხლა.

ს. ამაშუკეთი ინტელიგენტებით არც ისე ღარიბია, რომ ხელმძღვანელი არა ჰყავდეს ასეთს დაწესებულებას. აქაური მოსწავლე ახალგაზრდობა ზაფხულობით ამაშუკეთში ბრუნდება ხოლმე ქალაქებიდან. სტუდენტებიც არიან, მაგრამ

# ჩვენებური ფილისტერობა და ეროვნული საკითხი

(შემდეგი *)

„ასეთია განსხვავება პოლიტიკურ იდეალებშიო, ამბობს რაჟდენიძე; ბურჟუაზიას ინტერესებს მხოლოდ თავის ერისთვის უფლების მოპოვება, პროლეტარიატს—ყველა ერის თავისუფალ განვითარებისთვის საჭირო პირობებში ჩაყენება. პირველი, ე. ი. ბურჟუაზია, ამის მიხედვით იცავს ავტონომისტურ ცენტრალიზმს, ან ფედერალიზმს, მუშათა კლასსი კი ადგილობრივ თვითმართველობათა დამოუკიდებლობას, ე. ი. დემოკრატიულ ცენტრალიზმს, რომელშიაც ეროვნულ-კულტურულ კითხვებს ადგილობრივ თვითმართველობებში ფართო ადგილი ექნება და ასე კულტურულ განვითარების გზად გახდება.“

ერთი მითხარით, რა კავშირი აქვს ამ დასკვნას ზემო მოყვანილ ავტორის „აზრებთან?“ სრულიად არავითარი, და თუ ეს ცენტრალიზმი და ავტონომიზმი დასკვნად გამოიყვანა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პროგრამმაში უწერია. სხვა რამ რომ ეწეროს პროგრამმაში, ზემოდ იმასვე იტყოდა პროლეტარიატზე და ბურჟუაზიაზედ და დასკვნას კი მაინც პროგრამმისას მიაბამდა. აბა, ჯერ ერთი—რომელი „ბურჟუაზია“ ჰქადაგობს საქართველოში „ავტონომისტურ ცენტრალიზს“? კიდევაც რომ ჰქადაგებდეს,—რითია პეტერბურგის ცენტრალიზმი უფრო სოციალისტური და პროლეტარული, ვიდრე ავტონომისტური ცენტრალიზმი? მეორე—ვინ განვლო თანასწორობის ხაზი ფედერალიზმსა და „ავტონომისტურ ცენტრალიზმს“ შორის?—რაჟდენიძემ? ჰო, ადვილი მისახვედრია. მესამე—რა არის ადგილობრივ თვით-მმართველობათა დამოუკიდებლობა? თუ ავტონომიაა, რატომ ნათლად არ არის გარკვეული, რაიც საჭიროა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების თვალთსაზრისით. თუ უბრალო თვითმმართველობაა,—რაღაზე აყენებთ სოციალიზმის ქარ-ბუქს და რა აქვს საერთო სოციალიზმთან ადგილობრივ თვითმმართველობას? თითქოს ეს თვითმმართველობაც ბურჟუაზიული არ იყოს, და არხიბურჟუაზიულიც და არხიბიუროკრატიულიც! თუ კი ესდეკების გონების ნაყოფია,—მაშინ იგი ვის რად უნდა!?

ისე აცხადებს ამ დიდებულ დასკვნას რაჟდენიძე, თითქოს პროლეტარიატი დიდის ფიქრისა და ცდის შემდეგ მისულიყოს ამ დასკვნამდე, თითქოს თვითმმართველობაში არავინ თავისას არც ენას გაბატონებს, სხვებს არ დაჩაგრავს, კლერიკალიზმს არ გაავრცელებს სკოლებში, ავტონომიის დროს კი ეს დიდი უბედურება დაატყდება თავზე პროლეტარიატს; თითქოს თვით-მმართველობის შემოღება დაცვა იყოს პროლეტარულ ინტერესთა და ავტონომია კი მათი უარ-ყოფა, თითქოს მართლაც თვითმმართველობა სოციალისტური საკითხი იყოს, ავტონომია კი რომელიმე ერის ბურჟუაზიის გაბატონება და შოვინიზმი, თითქოს ჰქონდეს რამე საერთო ან უბრალო ავტონომიებსა და ან თვით-მმართველობას სოციალიზმის წმინდა პრინციპებთან; თითქოს, ერთის სიტყვით, ერის უფლებათა დაცვა და სოციალიზმი სხვა და სხვა სფერაში არ იყვნენ. მართლაც რა საცოდავი რამ არის ის ადამიანი, რომელიც ლოღიკურ დასკვნათა მაგიერ ასეთ პროგრამმის პუნქტებს ჩაჩხერს ხოლმე, საცა უნდა და არ უნდა!..

რაჟდენიძე ამბობს—B. სოციალიზმს უარ-ჰყოფსო, იგი მისთვის პრობლემატურიაო და მისი სიტყვით ამ ფიქციისსახელით ეროვნულ უფლებებს ვერავინ წაგვართმევსო.—არ ვიცი, აქ ჩვეულებრივი უნამუსობაა და თუ გაუგებრობა. მე კაცობრიობის ფიქციაზე ვლაპარაკობდი, რომ იგი არ წარმოადგენს ერთს კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმს მეთქი, და მისი სახელით ერს არსებობის უფლებას ვერავინ წაართმევს მეთქი; სოციალიზმი კი აბსტრაქტული მოძღვრებაა, რომელიც შეეხება ერის სოციალურ ცხოვრების შინაგან გარდაქმნას მეთქი, ბ-ნი რაჟდენიძე კი გაიძახის, B.-ს სოციალიზმი მიაჩნია ფიქციად და მას უარ-ჰყოფსო! კომმენტარიები მეტია, passons!..

„ამნაირად, დავიცვათ ეროვნება, თავი ვანებოთ სოციალიზმს“,—აი ვითომც ჩემი ეროვნული სოციალიზმი. ესეც დასკვნაა ჩემი ნალაპარაკევიდან? მე ვამბობდი, ეროვნულ უფლებათა დაცვა ხელს არა თუ არ უშლის სოციალიზმს, არამედ ხელს უწყობს მეთქი, ამასთანავე ნამდვილ ინტერნაციონალურ სოლიდარობას ამტკიცებს ერთა შორის მეთქი, ეს კი მეუბნება—სოციალიზმის თავის დანებებას ქადაგობო. „ჯერ ერის აღორძინება, ჯერ ეროვნულ იდეალის განხორციელება, მერე სოციალიზმი“—აი, ვითომც ჩემი ლოზუნგი! მე ორ საკითხს სხვა და სხვა სფერაში ვაყენებდი, ეს კი მეუბნება, შენთვის ჯერ ერია, მერე სოციალიზმიო! გაგებაც ამასა ჰქვია. ამას გარდა ერთი სასწაულიც მომიქმედნია. ლოზუნგად მქონია მაინც სოციალიზმი, თუმც ერის შემდეგ, თვით სოციალიზმად კი სოციალიზმის თავის დანებება! საკვირველი ადამიანი ვყოფილვარ და არ ვიცოდი!

„ეს (ჩემი) ეროვნება მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა აღარ დაეძიოს(!) აღარც თავისი პროლეტარობა, აღარც „სხვის პროლეტარებთან სოლიდარობა (აქ ჩემი სიტყვები მოჰყავს) და თავის მტერ ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოლოს ერის, ესე იგი საკუთარ სოციალურ ორგანიზმის დასაცველად“. მე ვამტკიცებდი,—მთელმა ერმა, პროლეტარმაც და ბურჟუამაც, უნდა დაიცვას საკუთარი ეროვნული ორგანიზმი მეთქი; როცა ეროვნული თავისუფლება განხორციელდება, მაშინ აღარ იქნება ეროვნული ბრძოლა შემოსულ უცხო ელემენტებთან და ამით პროლეტარიატი მთელ თავის ენერგიას კლასსთა ბრძოლაზე გადაიტანს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატი იძულებულია თავის მტერ ბურჟუაზიასთან ებრძოლოს უცხო ერს, მის პროლეტარიატსაც, აღარ მიაქციოს ყურადღება კლასსთა წინააღმდეგობას მეთქი. მე ვამბობდი, რომ ეს ფაქტია და მომავალშიაც ეს მოვლენა აუცილებელი იქნება მეთქი, ის კი მეუბნება,—შენი აზრით ეროვნება მოითხოვს „პროლეტარიატმა აღარ დაეძიოს თავისი პროლეტარიატობა“ და ბურჟუაზიას შეუერთდესო! თანაც იგი გაოცებულია,—როგორ შეიძლება საერთო, საკუთარი სოციალური ორგანიზმი ჰქონდეს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატსო და კითხვითი ნიშანიც მიუსვამს სიტყვა „საკუთარი“-სათვის. მაშ, როგორ გგონიათ, ბ-ნო რაჟდენიძევ, აქაო და პროლეტარს საკუთრება არა აქვსო, რომ გაგიგონიათ, იგი ერთ საზოგადოებას არ წარმოადგენს ბურჟუაზიასთან კი არა, თვით მონარხებთან ერთადაც? (როგორ მეშინია ამისი თქმა: რაჟდენიძეს ეგონება, B. პროლეტარებს მონარხისტობას ურჩევსო!)

მე ვამბობდი: „ენა, სარწმუნოება, მთელი თავისებურება ეროვნულ კულტურისა, მთელი სოციალურ ეროვნული პიროვნება აქვს დასაცველი ერსა, სოციალიზმი მხოლოდ ერთი მხარეა,—უფლებრივ-ეკონომიური,—მისი საზოგადოებრივობისა და ამიტომაც იგი ჯერ თავის თავს, როგორც ცოცხალ სოციალურ ორგანიზმს, იცავს სიკვდილისაგან, მერე ანვითარებს სოციალიზმს, რომელიც წადილია ამ ცოცხალ ორგანიზმის ფუნქციათა გაუმჯობესებისა“. (რაჟდენიძეს ამის ნაცვლად რაღაც სისულელეები ამოუწერია, ამოწერაც არა სცოდნია და თვითონვე დაუსვამს კითხვითი ნიშნები). მოკამათე კი მიპასუხებს: „როგორც ვხედავთ, აქ ერი საფუძველია, სოციალიზმი კი მხოლოდ ერთი სასურველი, თუმცა პრობლემატიური „ფუნქცია“ (რისი, ბ. რ—ძევ?) პირველი თითქმის ყველაფერია, მეორე თითქმის არაფერი. სოციალიზმის უარ-ყოფა, აი ეროვნული სოციალიზმი“! ცხადია, რასაც ვლაპარაკობდი. დღეს რომ, მაგალითად, საფრანგეთმა დაჰკარგოს ეროვნული თავისუფლება, მთელი ერი, განურჩევლად კლასსთა, აღსდგება ეროვნულ თავისებურობის აღსადგენად,—აუცილებლად და უსათუოდ. ეს რაჟდენიძეს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შერიგება ეგონება, სოციალიზმის უარ-ყოფა, მაგრამ რა ჩვენი ბრალია. ამასთანავე დროებით საფრანგეთის სოციალიზმი შეფერხდება. როცა კი დაიბრუნებენ ეროვნულ თავისუფლებას, ესე იგი მორჩებიან გარეგან ბრძოლას, ისევ დაიწყება მწვავე პროცესსი სოციალურ შინაგან ბრძოლისა, სოციალიზმი კვლავ გაძლიერდება. მაგრამ ამით საფრანგეთი დროებით რეგრესს განიცდის, სწორედ სოციალიზმის მხრით. ეს მოვლენა ბუნებრივი, ისტორიულად მართალია და აუცილებელი. რაჟდენიძემ მისი არა იცის რა, არც უნდა რომ იცოდეს, მაგრამ ესეც რა ჩვენის ბრალია.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სოციალიზმის „ფუნქციობა“ და ერის „საფუძვლობა“ საიდან გამოიგონა ბ-ნმა რაჟდენიძემ? იქნებ არ იცის ფუნქცია რა არის და „საფუძველსაც“ უსაფუძვლოდ ხმარობს? და რომ არ ესმის, ეს იქიდანა სჩანს,

*) იხ. „დროება“, N 182.

...რაძეც არ მოსვლიათ წიგნ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენები გამართათ და კითხვები გაემართათ ხალხისათვის. ერთი შენიშვნაც: წიგნ-საცავ სამკითხველოს შენობა ძრიელ უხერხულ ადგილზეა აგებული, რის გამო მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს არ შეუძლიან სარგებლობა, განსაკუთრებით გლეხკაცობას, რომელიც დაშორებულია სამკითხველოდან ორი-სამი ვერსით. ჩემის აზრით უმჯობესი იქნება სამკითხველო მოათავსონ „ბორითში“ ან „მარიამ წყაროში“, საიდანაც შეიძლება მიეცემათ აგრეთვე ს. დორეშის მცხოვრებთაც ისარგებლონ.

ხუთი სოფლის გლეხებს (ამაშუკელებს, დორეშელებს, უბისლებს, ვაშლევლებს და მაქათუბნელებს) აქვთ ერთი ორკლასიანი სამინისტრო სკოლა ს. ამაშუკეთში, მდ. ძირულის გაღმა. ეს სკოლაც უხერხულ ადგილას არის აგებული. სამი სოფელი—დორეშა, უბისა და ვაშლევი დაშორებულია სკოლაზე სულ ცოტა 3,4 ვერსი, რის გამო ამ სამი სოფლიდან სულ თხუთმეტი ბავში თუ სწავლობს სკოლაში. ს. დორეშაში არსებობს სამრევლო-საეკლესიო სკოლა, მაგრამ ამ სკოლას გლეხობა მაგრე რიგად არ ეტანება.

ს. უბისაში სულ არ არსებობს სკოლა, არც სამინისტრო და არც საეკლესიო. ამ სოფელში ორასამდე კომლია. ამაშუკეთის სკოლაში ამ სოფლიდან სულ რაღაც სამი ბავში სწავლობს. კარგი იქნება ადგილობრივმა მღვდელმა გაუწიოს გლეხებს ხელმძღვანელობა და აღძრას შუამდგომლობა, რომ უბისლებს ერთკლასიანი სახალხო სკოლა დაუარსონ.

შორაპნის მაზრის მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი ა. წერეთელი ცდილობს ს. ამაშუკეთში ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი დაარსდეს. ამის შესახებ შუამდგომლობაც აღუძრავს.

ლორეშელი კაცი.

—

**დ. ხონი.** შაბათს, 15 მარიობისთვეს, აქ გამართეს წარმოდგენა. წარმოდგენაში გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეებისა, მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ნ. ჯავახიშვილისა, მ. ქიქარჯიშვილისა, ბ-ნნი ვ. შალიკაშვილი და ნ. გვარაძე. წარმოდგენილ იქმნა დრამა „ისმინე ისრაელ“! და კლდიაშვილის პიესა „დარისპანის გასაჭირი“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. საუცხოვოთ ჩაატარა აარონის როლი ვ. შალიკაშვილმა, კარგები იყვნენ აგრეთვე ნ. ჯავახიშვილისა და მ. ქიქარჯიშვილისა. „დარისპანის გასაჭირში“ მსახიობებმა ბევრი აცინეს საზოგადოება. კვლავ უნდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენის დროს პარტერში გამუდმებით ხმაურობდნენ, იცინებოდნენ და პასსობდნენ და მით ზოგიერთებს ხელს უშლიდნენ მოესმინათ სცენაზე წარმოთქმული სიტყვები. სასურველია, ამას ყურადღება მიაქციონ გამგეებმა და წესრიგი დაიცვან.

მეორე დღეს, 16 მარიობისთვესაც გამართეს წარმოდგენა. ამ დღეს წარმოადგინეს „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“, ლ. ანდრეევისა. ამ წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა. ირჩეოდა ამ დღეს კოდა გლუხოვცევის როლის აღმასრულებელი ნ. გვარაძე. ხალხი ცოტა დაესწრო, თუმცა ფასიც დაკლებული იყო. თეატრის წინ შეგროვილი ხალხი ხმაურობით ხელს უშლიდა წარმოდგენას.

23 მარიობისთვეს თავდება სეზონი. ამ დღისათვის ადგენენ „უდანაშაულოდ დასჯილს“ ნ. გვარაძის საბენეფისოდ.

მღვთის-შობლობის წინა ღამეს, 14 მარიობისთვეს, ღამით ჩვეულებრივად იყო ღამის თევა. ამ ღამისათვის კუხელებმა ორი საპალნე ღვინო წაიღეს ურმით, დათვრნენ საშინლად და შემდეგ ათასი არა საკადრისი რამ ჩაიდინეს. ასე მოიქცნენ სხვებიც. ამ ღამეს, ვისაც კი მტრობა აქვს ვისიმე, საშაგიეროს ამ ღამეს უხდის ხოლმე.

აგერ ათი წელიწადია, გვონებ მეტიც, რაც გვპირდებიან ხან ელექტრონის და ხან ცხენის ტრამვაის, ხანაც ავტომობილების მიმოსვლას ხონიდან ქუთაისამდე და სამტრედიიდან ხონამდე, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება და საქმე კი არ კეთდება. დრო-კია რომ ეხლა მაინც გაკეთდეს რამე.

ფახკუნჯი.

# ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ

**რეაქციონური მოძრაობა.**

„რუს. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან:

„თეირანში ძლიერდება რეაქციონური მოძრაობა. გაჩნდა საიდუმლო ორგანიზაციები. ზილი-სალთანესა და მამედ-ალის მომხრეები საიდუმლო კრებებს ჰმართავენ ღამღამე. რეაქციონერებს ეხმარება ზოგიერთი ბანკირი. ფიდაებმა (რევოლიუციონერებმა) დაატუსაღეს რამდენიმე შეთქმული. ამ ამბების მნახველს გეგონებათ თითქო აქ უწესოება ხდებოდეს და ევროპის სახელმწიფო ჯარის შემოსვლა იყოს მოსალოდნელი. მთავრობას ძლიერ აფიქრებს რუსეთის და ინგლისის წინადადება: ბესტში მჯდომ რეაქციონერებს ამნისტია მიეცით (აპატიეთ დანაშაული) და მათი უშიშროება უზრუნველჰყავითო. მით უფრო, რომ რუსეთი დაემუქრა სპარსეთის მთავრობას, მამედ-ალის სპარსეთში დავტოვებთ, თუ მას უკანასკნელ ორი წლის ჯამაგირს არ მისცემთო.

**მამედ-ალის ბინა ოდესაში.**

საბოლოოდ გადასწყვიტეს, რომ მამედ-ალი ოდესაში იცხოვროს, შაჰად ნამყოფის წარმომადგენლებმა დაიწუნეს ფალცფეინის სასახლე და მის მაგივრად ბრჟეზოვსკის სასახლე დაიქირავეს. პეტერბურგიდან ბრძანება მიიღეს ოდესაში, შაჰად ნამყოფისთვის სასწრაფოდ დაამზადეთ ბინაო. მისთვის უკვე იყიდეს ოქროთი მოვარაყებული მებელი, გაჰყავთ ელექტრონი და ამოსავლელის გამოყენებაზე აწყობენ მთელს სადგომს. ბრჟეზოვსკის სახლის მდგმურები სხვა სადგომებში გადაჰყავთ, მათ აძლევენ ჯარიმას და გადასვლის ხარჯს. მამედ-ალის სადგომში 30 ოთახია.

**უარი მემკვიდრეობაზე.**

როგორც ვიცით, სიკვდილით დასჯილ ცნობილ რეაქციონერის შეიხფეზლულას ვაჟიშვილმა უარი სთქვა მამისაგან დატოვებულ მემკვიდრეობაზე, რომელიც თურმე მილიონად ღირს. ეს ამოდენა ქონება უბედურ ფელ-ლულას შვილს შეუწირავს მეჯლისისთვის.

**რუსის ჯარი ყაზვინში.**

თეირანში შიშობენ, ვაი თუ რუსის ჯარის ყოფნამ ყაზვინში საქმე ხელახლად გაამწვავოს, მით უმეტეს, რომ რეაქციონერები ბეჯითად მოქმედებენო.

**ტყუილი დეპეშა.**

„ნ. რუს“-ის თეირანული კორესპონდენტი სწერს: „12 აგვისტოს შემთხვევით შევიტყვე იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს აქაურ აგენტს გაეგზავნა რუსეთში.

ამ დეპეშაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ „შაჰის მთავრობამ, მიუხედავად რუსეთის და ინგლისის მეგობრულ რჩევისა, უარი სთქვა საყოველთაო ამნისტიის გამოცხადებაზე იმ საბუთით, რომ საჭიროა არეულობის საბოლოოდ აღმოფხვრაო. იმავ დეპეშაში აგენტი იუწყება, რომ შაჰის მთავრობა სასამართლოებში არ უშვებს უცხოეთის საელჩოების დელეგატებს, როდესაც იქ ირჩევა ხოლმე საქმე საელჩოებში ბესტში მყოფ სპარსელ რევოლიუციონერებისა; ამით სპარსეთის მთავრობა უნდობლობას უცხადებს საელჩოებსაო“.

მე არ ვიცი, ვისა სთქვის აგენტი შაჰის მთავრობად, მაგრამ მე დანამდვილებით ვიცი, რომ სპარსეთის ეხლანდელი მთავრობა და დროებითი მეჯლისი სულ სხვა აზრისანი არიან „საყოველთაო ამნისტიაზე“. დროებითმა მეჯლისმა იმიტომ კი არა სთქვა უარი ამნისტიაზე, რომ ვითომ ჯერ რეაქციის „აღმოფხვრას“ სთვლიდეს საჭიროდ. მიზეზი ისაა, რომ ბესტში ჩამჯდარი რეაქციონერ-მილიონერებს არ უნდათ თავიანთ ვალების გასტუმრება და არეულ ანგარიშების გასწორება. ამ საქმეების გარჩევა უნდა მოხდეს საჯაროდ სასამართლოში, და საელჩოების დელეგატების დასწრება ამ საქმეებზე არა თუ არ აუკძალავს მთავრობას, პირიქით მეტად სასურველად მიაჩნია.

ეს ამბავი მიამბო დროებითი მეჯლისის ზოგიერთმა წევრმა. როცა მათ გაიგეს „პეტ. სააგენტოს“ დეპეშის შინაარსი, ძლიერ გაუკვირდათ ასეთი მოურიდებელი დამახინჯება ფაქტებისა რუსეთის ოფიციალურ სააგენტოს მიერ და მისი აგენტის მოქმედება „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტის იანჩევეცკის მოქმედებას შეადარეს.

**საფინანსო კომისია.**

სპარსეთის საფინანსო კომისიამ, სასახლის მინისტრის მუსტაფა-ულმამალიკის თავმჯდომარეობით, გამოარკვია, რომ ამ მოკლე ხანში სპარსეთს არ დასჭირდება გარეშე სესხის აღება. ამ ჟამად სპარსეთის ხაზინას ფული არ უჭირს, რადგან დროებით მეჯლისის კომიტეტს ყოველ დღე დიდ ფულსა სწირავენ მონანიებული რეაქციონერებიო. ამას გარდა, საფინანსო კომისია ბაჟის დადებას აპირებს მაგარ სასმელებსა და ბანგზე.

**სპარსეთის მთავრობისა და რუსეთის საელჩოს მოლაპარაკება.**

გაზ. „რეჩ“-ი სწერს: როგორც ფრიად სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, შაჰად ნამყოფის მამედ-ალის წამოსვლა სპარსეთიდან უმთავრესად დაგვიანდა იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც გამართული იყო სპარსეთის მთავრობისა და რუსეთის საელჩოს შორის და შეეხებოდა რუსეთის საელჩოში ბესტში ჩამჯდარ სპარსელ რეაქციონერებს: ემირ-ჯენგი-ბაგა-დურს და სხვებს.

რუსეთის მთავრობამ ამ რეაქციონერებისთვის მოითხოვა პასპორტები, რომ მათ თავისუფლად შესძლებოდათ სპარსეთიდან გასვლა. სპარსეთის მთავრობამ უპასუხა, რომ რადგან რუსის საელჩოში დამალულ რეაქციონერებს, ნამეტნავად ემირ-ბაგადურს, დიდი ვალი ჰმართებთ, არ შეგვიძლიან პასპორტების მიცემა, სანამ ისინი ვალების საქმეს არ გაასწორებენო.

როგორ შევიტყვეთ, ინგლისის მთავრობა ძლიერ დაინტერესდა ამ მოლაპარაკებით. სპარსეთის მთავრობის აზრი სამართლიანად სცნა და ამის თაობაზე მეგობრული რჩევა მისცა რუსეთის მთავრობას.

რუსეთის მთავრობა, სხვათა შორის, თხოულობდა, რომ სპარსელი წარჩინებული რეაქციონერები უთუოდ მამედ-ალისთან ერთად გამოსულიყვნენ სპარსეთიდან“.

როგორც დეპეშამ გვაცნობა,— თუ ესეც ბევრ სხვა ცნობასავით ტყუილი არ გამოდგა—ეს მოლაპარაკება უკვე გათავებულა და მამედ-ალი თავის საყვარელ რეაქციონერებით მალე წამოვა რუსეთში.

# ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗ-ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲕᲐ

თუ დავუჯერებთ გაზეთების არეულ ჭრელ ცნობებს, ოსმალეთ-საბერძნეთის დავა მორიგებით, მშვიდობიანად თავდება.

14 აგვისტოს ოსმალეთის მთავრობამ მფარველ სახელმწიფოებს ჩააბარა პასუხი მათ უკანასკნელ ნოტისა, რომელიც როგორც ამბობენ, მეტად მკაცრად იყო დაწერილი. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის მთავრობის პასუხი თავდაჭერილ კილოზე იყო დაწერილი. იგი მაინც და მაინც არა თხოულობს, რომ კრიტეს საქმე ეხლავე მოწესრიგდეს; მაგრამ მაინც აგონებს სახელმწიფოებს, რომ შემდეგში იგი მოითხოვს იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც შეეხებიან აგრეთვე საბერძნეთის მთავრობის ინტერესებს, მაგალითად ხმარება ფოსტის მარკებისა საბერძნეთის მეფის სურათით. ოსმალეთი ატყობინებს, რომ თუმცა საბერძნეთის პასუხი სრული არაა მაგრამ მაინც შესაწყნარებელია, და ირწმუნებს, რომ ოსმალეთს უფრო ჯერ ყოველთვის სურდა მშვიდობიანობის დაცვაო, ოსმალეთის მთავრობა მადლობას უცხადებს სახელმწიფოებს დახმარებისთვის და თან უმატებს, რომ ოსმალეთი—დამოუკიდებელი სახელმწიფოა და სამუდამოდ შეინარჩუნებს უფლებას,—ისე დაიცვას თავისი სამფლობელო, როგორც ჭკუა გაუჭრისო. მთელი ნოტა მეტად ზრდილობიან კილოზეა დაწერილი.

ამ ნოტით ოსმალეთის მთავრობამ ცხადად გააგებინა მფარველ სახელმწიფოებს, რომ მათი უკანასკნელი ნოტა საწყენი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოსთვის, და რომ ზრდილობა დიპლომატებისთვისაც კარგი საქონელია. როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, სახელმწიფოების უკანასკნელი ნოტა მეტად კადნიერ, თავხედურ კილოზე იყო დაწერილი. სახელმწიფოებმა გადაჭრით გამოუცხადეს თურმე ოსმალეთს, რომ ომის ნებას არასოდეს არ მოგცემთო.

**კრიტეს ავტონომიის პროექტი.**

დიდ ვეზირად ნამყოფმა ქიამილ-ფაშამ შეადგინა ავტონომიის პროექტი კუნძულ კრიტესთვის, ოსმალეთის მთავრობამ მოიწონა ეს პროექტი და მალე სახელმწიფოებს გაუგზავნის მას.

# ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ

გერმანულ გაზ. „ფრანკ. ცაიტუნგ“-ისა და „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ არა სოციალისტურ, ეგრედ წოდებულ „ყვითელ“ კავშირის 8 ათას წევრთაგან მომეტებული ნაწილი არ დაემორჩილა კავშირის ბრძანებას და გაფიცვას განაგრძობსო.

მრეწველთა კავშირი უხვად აძლევს წვრილ მრეწველებს მიმდინარე ხარჯების ფულს. ამით კავშირი ერთის მხრით, ცდილობს წვრილ მრეწველებს დაღუპველ გაფიცვისაგან გამოწვეული უკმაყოფილება გაუქაროს და მეორეს მხრით, უფრო ძლიერ უმორჩილებს წვრილ მრეწველებს კავშირის ორიოდე ხელმძღვანელ მსხვილ მრეწველის ნებას. ამ მსხვილ მრეწველებისთვის გაფიცვა ჯერ სასარგებლოა, რადგან ისინი ასაღებენ იმ დიდ-ძალ დარჩენილ ნაწარმოებს, რომელიც მათ მოუგროვდათ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისის წყალობით. ესაა უმთავრესი მიზეზი მათის მოურიგებლობისა და გაკერპებისა.

ბურჟუაზიულმა გაზეთებმა, როგორც უკვე ვიცით, საჩივარი შეიტანეს ასოთ-ამწყობთა კავშირზე და იმ ზარალის ანაზღაურება მოითხოვეს, რომელიც ვითომ მათ მიაყენა მუშების მიერ ხელშეკრულობის დარღვევამაო. ბურჟუაზიული პრესა ამასაც არ დასჯერდა და სტოკჰოლმის გუბერნატორს სთხოვა, ასოთ-ამწყობთა კავშირის თანხა შეკარით, რომ მათ კავშირმა მთელი თავისი ფული გაფიცულთა დახმარებას არ შეალიოს და ჩვენი ზარალის ზღვა შეეძლოსო. მაგრამ ასოთ-ამწყობთა კავშირმა თავისი ფული ერთს საზღვარ-გარეთელ მეგობრულ ორგანიზაციის სახელობაზე გადაიტანა და იმ მოხელეებმა, რომლებიც მოვიდნენ ფულების შესაკრავად, ველარა გააწყეს რა.

შვეციის ქალების მხნე მოქმედებამ საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა: ისინი, პარტიის განურჩევლად, ბეჯითად ზრუნავენ გაფიცულ მუშათა შვილების გამოკვების... ამას გარდა, შვეციელმა ქალებმა პეტიცია წარუდგინეს... მთავრობამაც მიიღო ... რომელსაც ... პარტიის წარმომადგენელმა ქალებმა.

# ᲠᲐᲭᲕᲔᲚ-ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უკვე მიიღო მთავრობისაგან ნება ს. ჭრებალოში სამკითხველოს დაარსების შესახებ. პირველი ინიციატივა ამ საქმეში რაჭველ-ლეჩხუმელ მუშებს ეკუთვნით და წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც იმ იმედით აღძრა შუამდგომლობა, რომ ნივთიერი დახმარება თითონ მუშებმა იდონ თავს. ამ ჟამად საჭიროა დაპირების სისრულეში მოყვანა და სამკითხველოს მოსაწყობად როგორც ფულის, ისე წიგნების მხრივ მზრუნველობა. როგორც ამას წინად გწერდით, მუშათა ერთმა წრემ, მსურველმა რომ სამკითხველო ორიოდე უმნიშვნელო წიგნის ამარა არ დარჩეს, უკვე შეიძინა მთელი „ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ბროკჰაუზის და ეფრონისა.

ესევე წრე ცდილობს სხვა მხრივაც სერიოზულ დახმარების აღმოჩენას, მაგრამ იგი ვერ შესძლებს დაუხმარებლივ შეიძინოს ყოველივე ის, რაც განსხვავებულია სამკითხველოსათვის. ამიტომ ჩვენ მოვიწოდებთ ტფილისს გარდა სხვა ქალაქებში მყოფ რაჭველ-ლეჩხუმელ მუშებსაც, რომ მათაც არ დაიშურონ თავიანთი წვლილი და საჩქაროდ მიაწოდონ წერა-კითხვის საზოგადოებას ჭრებალოს სამკითხველოსათვის წიგნების შესაძენად. იმედია, თითონ ჭრებალოელებიც იკისრებენ ცოტა დახმარებას. ვიმედოვნებთ, რომ რაჭველ ლეჩხუმელი მუშები უნდა ყურადღებით მოეკიდენ ამ თავის მიერ დაწყებულ საქმეს ფულით თუ წიგნებით. დახმარება მიიღება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ, როგორც პირადად, ისე ფოსტით და აგრეთვე ადგილობრივ ქართულ გაზეთების რედაქციებში.

ნაცნობი.

# ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲔᲠᲪᲔᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის გერცენშტეინის მოკვლის საქმე ტერიოკის სასამართლოში 12 აგვისტოს უნდა გარჩეულიყო, მაგრამ 22 სექტემბრისთვის გადაიდო. ამ საქმეს, ვერ იქმნა, დასასრული ვერ ეღირსა. ფინლიანდიის სასამართლომ ამ საქმის გარჩევა 32-ჯერ გადასდო, 22 სექტემბრის სხდომა უკვე ოცდამეცამეტეა და, როგორც სტატსტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, სასამართლოს გადაუწყვეტია ყოველივე ზომა მიიღოს და ეს საქმე დააბოლოვოს. როგორც 12 აგვისტოს, ისე წინად სასამართლოს საქმე „ჭეშმარიტმა რუსებმა“ გადაადებინეს. როგორც ვიცით, გერცენშტეინის მოკვლის მოწყობას „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ თავმჯდომარეს დუბროვინს აბრალებენ. რამდენჯერაც დაიბარეს დუბროვინი, არ გამოცხადდა; თანაც თავის ვექილის პირით ამბობდა, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მე სასამართლოში გამოცხადებას მაიძულებსო. კანონის ძალით რუსეთის მთავრობა მოვალეა, დუბროვინი წარუდგინოს ფინლიანდიის სასამართლოს. გაზეთი „რეჩი“ ასე აგვიწერს სასამართლოს 12 აგვისტოს სხდომას:

12 აგვისტოს, დილით სასამართლოში მოიყვანეს ბრალდებულნი იუსკევიჩ-კრასკოვსკი და ლარიჩკინი. იუსკევიჩ-კრასკოვსკის ორმოცი პოლიციელი ერტყა გარშემო. სასამართლოს ახლომახლო ქუჩები სულ პოლიციელებით იყო სავსე, რადგან წინდაწინვე ხმა გავრცელდა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ 100 წევრამდე ჩამოვიდაო. ეს ხმა ცოტად თუ ბევრად გამართლდა. „კავშირის“ წევრებზე იმოქმედა პოლიციელების გაძლიერებულმა რაზმმა და რამდენადაც კი „კავშირის“ წევრებს მშვიდობიანად და რიგიანად თავის დაჭერა შეეძლოთ, თავი შეიკავეს. სასამართლოს სხდომის დაწყებისათანავე დუბროვინის ვექილმა ბულაცელმა „თავი ისახელა“. იგი პალტოში გამოწყობილი გიჟივით შემოვარდა სასამართლოს ოთახში. მოსამართლემ ბულაცელს პალტოს გარდა მოსთხოვა. მაგრამ ბულაცელმა ...

რომ გაგვაძევებინა რა პროლეტარიატი ერიდან (თითქოს მას სწორედ ესდეკები თვითონ არ ერეკებოდნენ ერიდან!) და გამოგვიყვანა რა მის მოსისხლე მტრად, შემდეგსა სჩმახავს: „მუშათა კლასსი ეროვნებას უყურებს, როგორც ერთ განუყოფელ ნაწილს სოციალიზმისთვის ბრძოლაში, B.-ი კი სოციალიზმს სთვლის ეროვნების ერთ პრობლემატიურ **ფუნქციად**“. პირველი ფრაზა არ გვესმის და ვერც გავიგებთ, თუმცა თუ იგი იმას ამბობს, რომ ერმა თავის შინაგან სოციალურ ცხოვრებაში უნდა განახორციელოს სოციალიზმი, ნაციონალიზმი კი მთელი ერის მიერ გარეგან თავის დაცვას შეეხებაო, — ეს სწორედ ჩვენი აზრია, რასაც ასეთის ბლაგვის ხმლით ებრძვის ბ-ნი რაჟდენიძე. რაც შეეხება **ფუნქციას**, დამშვიდდით, ბ-ნო რაჟდენიძევ,— სოციალიზმი არ ჩამითვლია ეროვნების არც ერთ „ფუნქციად“ და არც მრავლად, შეუძლებელიც არის ასეთი სისწაული,—მე მხოლოდ სოციალურ ორგანიზმის ფუნქციათ ერთგვარ გაუმჯობესებას ვუწოდე სოციალიზმი. სად თქვენი ფუნქცია და სად ჩემი!

ეს კიდევ არაფერი,—მისი დასკვნა უფრო საინტერესოა. ჩემის აზრით თურმე საზღვარ-გარედ ისე ესმით სოციალიზმი, რომ „გერმანიის მუშები უნდა ებრძოდნენ საფრანგეთისას და საფრანგეთისა—გერმანელებს ეროვნულ „**უფლობის**“ მოსაპოვებლად“, ინტ. ს. დ-ია კი ბურჟუაზიის ასეთი მისწრაფების წინაალმდეგ ქადაგებს, პროლეტარიატი ერთდება და სოლიდარობის ნიადაგზედ ხელს უწვდის სხვა სახელმწიფოს პროლეტარიატს; ხოლო „B. გამოდგარა და გვიმტკიცებს: ისინი ერთის მეორის დაჭმას აპირებენო“. აქაც ის, სულ ის წყეული ოტტო ბაუერია, რომლის ციტატასაც გად-ურევია რაჟდენიძე. მოდი და ასეთ კაცს მართლაც წიგნი მიეცი და წააკითხე! ფიქრადაც არ მომსვლია, გერმანიის პროლეტარიატი უნდა ებრძოლოს საფრანგეთისას „**უფლობის**“ მოსაპოვებლად მეთქი; პირიქით, სულ იმას ვამბობდი, რომ ასეთი მოვლენა არ ვარგა, სოციალიზმის შემაფერხებელია და ერთა შორის, პროლეტარიატთა შორისაც სპობს სოლიდარობას მეთქი. ამიტომ ვიყავ ჰერვეს წინაალმდეგი, რომელიც უარ-ჰყოფს ინტერნაციონალიზმისა და ანტიპილიტარიზმის სახელით ეროვნულ თავის დაცვასაც. ჩემთვის სწორედ ეს უარ-ყოფა ეროვნულ თავის დაცვისა უარ-ყოფაა ინტერნაციონალიზმისა და შემდეგ ისევ ნაციონალიზმის განვითარება, სოციალიზმის რეგრესსი. ჩემს დღეში არ მითქვამს, საფრანგეთისა და გერმანიის პროლეტარები „ერთმანეთს სჭამენ“ მეთქი, არამედ, ერთმანეთს რომ არა სჭამენ, ამისი მიზეზი ჩემთვის ის არის, რომ ორივეს აქვს თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა, და სხვა ერებსაც, ვისაც იგივე დამოუკიდებლობა არა აქვთ, აუცილებლად უნდა მიენიჭოთ იგი, სწორედ იმისთვის, რომ ეროვნული მონობა მოისპოს, ერთა თანასწორობაზე და დამოუკიდებლობაზე აღმოცენდეს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, პროლეტართა სოლიდარობაცა და სხვაცა. რაჟდენიძემ კი ნახა ბაუერის წიგნში „**უფლობა**“ და, დამამარცხებს თუ არა ეს „უფლობა“, ამას არ დაგიდევს, სჩრის მას არხეინად თავის წერილებში და თუ პროლეტარიატთა ურთი-ერთ გადამტერების სურვილი დამაბრალა, ჩემი აზრი გაბათილებული ჰგონია. კამათიც ასეთი უნდა,—სწორედ რაჟდენიძის შესაფერია.

ასეთი იყო რაჟდენიძის პასუხი „მათ აზრის“ მე-48-ე ნომერში. მან „პასუხი“ ჭეშმარიტების გამოსარკვევად კი არ დასწერა,—ან სად შეუძლია ასეთი რამ,—არამედ სწორედ საპასუხოდ, საადვოკატოდ. ცუდი ადვოკატი ყოფილა ს. დ-ტიზმისა. მან პრობლემის დაყენებაც ვერ გაიგო, ვერ მიხვდა, მე რასაც ვამბობდი და სულ სხვაზე დამიწყო ლაპარაკი,—თავისი „მამაო ჩვენო“ მითხრა; მან ვერც მსჯელობაში გამოიჩინა უნარი: რაც ილაპარაკა—ერთი იყო, დასკვნა კი ველარ გამოიყვანა, რადგანაც არავითარ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლებოდა იმის ნალაპარაკევიდან, და პირდაპირ პროგრამმის პუნქტი გადმოსწერა დასკვნის მაგიერ. ჩემი აზრები გადაამახინჯა და ვერ გაიგო, ან არ გაიგო, არ ვიცი,—თანაც, რასაკვირველია, თვითონვე მოირტყა ამით ცხვირში. ამიტომაც გრძელი გამოვიდა ეს პასუხი. ადვილია მოწინააღმდეგესთან კამათი, როცა არგუმენტზედ არგუმენტით გაძლევს პასუხს, მაგრამ როცა დაიბნევა და აღარ იცის, რალასაც ამბობს, მაშინ ან ველარას ეტყვი, ან და თავიდან დაიწყებ ყოველ „აზრის“ გარჩევას. ამიტომაც გრძელდება სიტყვა.

„მათი აზრის“ „აზრები“ და „პასუხი“ ასეთი იყო, როგორც კმითხველი ჰხედავს, ვნახოთ შემდეგ რა ჰანგები დამღერა ჩვენმა ფილისტერმა ახალ „ჩანგზე“. B.

(შემდეგი იქნება)

მე ასეთი სასამართლო არ მინახავს, პალტოს ჩამოსაკიდი არა აქვს, ამას გარდა ცივა კიდეცაო. ძალაუნებურად სასამართლოს თავმჯდომარე გაჩუმდა, და ბულაცელი პალტოში დარჩა. ამ ინციდენტის შემდეგ თავმჯდომარემ მოსთხოვა ქაღალდი, რომ იგი დუბროვინის რწმუნებულია. ბულაცელმა ქაღალდის პირი წარუდგინა, მაგრამ სასამართლომ თითონ ასლი მოსთხოვა. ბულაცელმა პროტესტი განაცხადა, „ფინლიანდიის საშუალო-საუკუნოების მონაგვარ კანონმდებლობაშიც კი არ არის ასეთი კანონიო“. თავმჯდომარის ბრძანებით თარჯიმანმა წაიკითხა შესაფერი კანონი. ბულიცელმა, რაკი ასე ვერაფერს გახდა, გერცენშტეინის ქვრივის ინტერესების დამცველების ვებერის და ზარუდნის რწმუნებულების ქაღალდები მოითხოვა. სასამართლომ დააკმაყოფილა ბულაცელი. აღმოჩნდა, რომ ვებერს უკვე წარუდგენია რწმუნების ქაღალდი, ზარუდნის მარტო პირი აღმოაჩნდა. ამის გამო სასამართლომ ზარუდნის და ბულაცელს ვექილობაზე უარი უთხრა. ბულაცელმა იუსკევიჩ-კრასკოვსკის ვექილობა ითხოვა და რადგან იუსკევიჩ-კრასკოვსკი დასთანხმდა, სასამართლომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ. მან პროტესტი განაცხადა, რომ პირის-პირ არ მალაპარაკებთ ბულაცელთან და ჩვენ ლაპარაკს ოთხი პოლიციელი დაესწროო „ფინლიანდია კულტურული ქვეყანაა და ასეთი მოქცევა არ შეშვენისო. სრული 2½ წელიწადია, რუსული გაზეთები ე. ი. ის გაზეთები, რომლებიც რუსულ ენაზე გამოდიან, ჩემზე ბევრ ჭორს ავრცელებენ. ჩემმა ვექილმა და მე უნდა გავფანტოთ ეს ჭორები და ცილისწამება. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რატომ ბულაცელმა არ იშუამდგომლა, რომ ნება დაერთოთ პირის-პირ ენახა იუსკევიჩ-კრასნოვსკი, ბულაცელმა განაცხადა: სულ ცოტა 2,000 მცველი მჭირდება, რომ ფინლიანდიის სასამართლოში მოვიდე, რადგან აქ მოსვლა ძალიან სახიფათოა. ფინლიანდიაში რუსებს ბორკილებს ადებენ და მეშინიან, მეც ასევე არ მომექცნენ.

ბულიცელის სიტყვის შემდეგ პროკურორმა განცხადება შეიტანა: „დუბროვინს ბრალსა ვდებ, რომ მან გერცენშტეინის მოკვლა მოაწყო, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, დუბროვინი აიძულოთ სასამართლოში გამოცხადდეს“. ამის გაგონებაზე ბულაცელი გაცხარდა, დაიწყო ყვირილი. დაცინვასა და მასხარად აგდებას საზღვარი უნდა ჰქონდეს, იძახდა—ეს უკულტურობასა ნიშნავსო. პროფესორის მოსე ან მიხეილ გერცენშტეინის მოკვლის საქმე რუსულმა სასამართლომ უნდა გაარჩიოს და არა ფინლიანდიისამ... მიკვირს რად ეძახიან აქ გერცენშტეინს პროფესორს, ჩვენ მას ილიუმინაციის პროფესორს ვუწოდებთო. თავმჯდომარემ მოაგონა, რომ იგი დუბროვინის დამცველი აღარ არის და ურჩია, ნუ ღელავთ, რად გავიწყდებათ, რომ აქ სასამართლოა და არა პარტიების ბრძოლაო. ბულაცელი მაინც გაიძახოდა, შვეციასთან 1810 წლის შეთანხმების ძალით ეს საქმე რუსულმა სასამართლომ უნდა გაარჩიოსო. თავმჯდომარემ განუმარტა, თქვენ იურისტი ხართ და არა მგონია არ იცოდეთ, რომ საქმე იქ ირჩევა, სადაც ბოროტმოქმედება ხდება და თუ ეს არ იცით, გადაათვალიერეთ 1826 წლის დადგენილებანიო. ბულაცელმა ამაზე თავმჯდომარეს შემდეგი უპასუხა: მეტად მიმაჩნია ფინლიანდიის სასამართლოს ჩემი სიტყვების სიმართლე დავუმტკიცო. თუ ჩვენმა მინისტრებმა მოინდომეს, საქმეს რუსული სასამართლო გაარჩევს. იყო შემთხვევები, რომ ასე მომხდარაო. თუ მინისტრებმა ეს შეიწყნარეს, იმედი მაქვს, დაემორჩილებით. გთხოვთ საქმე დღესვე განიხილოთ და გაათავოთ. თუმცა მე ფინლიანდიის სასამართლოზე ისეთი წარმოდგენა მაქვს... თავმჯდომარემ სთხოვა, ფინლიანდიის სასამართლოზე სხვა დროს გამოსთქვას თავისი აზრი.

შემდეგ სიტყვა მისცეს იუსკევიჩ-კრასკოვსკის. იგი უპირველეს ყოვლისა თავმჯდომარეს შეეკითხა, ფინლიანდიის კანონებით უფლება მაქვს თუ არა თავი დავიცვა, იქნებ გამართლებულიც ცხვარივით დასაკლავად წამიყვანონ. (თავმჯდომარემ პასუხი არ მისცა). ნება მიბოძეთ დავახასიათო კადეტები. კადეტები ორპირი ხალხია, მათ საიდუმლოდ კავშირი შეჰკრეს რევოლიუციონერებთან და რუსეთის დაღუპვა უნდათ. (თავმჯდომარემ გააჩერა, ეგ საქმეს არ შეეხებაო). იმ კამერაში, რომელშიც მე ვიჯექი, 50—60 მემარცხენე იჯდა სხვა და სხვა დროს და როცა გაიგეს, რომ „კავშირის“ წევრი ვიყავი, დიდის პატივისცემით მეპყრობოდნენ. პატიოსან მოპირდაპირის ასეთმა პატივისცემამ ზნეობრივად დამაკმაყოფილა. „კავშირში“ მე თავდაპირველად უბრალო წევრად ვითვლებოდი, შემდეგ მთავარ საბჭოს წევრის კანდიდატად ამირჩიეს და ეხლა არ ვიცი, ვითვლები კიდევ კანდიდატად თუ არა. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან ეს 2 წელიწადია, „კავშირთან“ არავითარი დამოკიდებულება აღარა მაქვს. „კავშირის“ დაარსებას აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა. „კავშირი“ იმ დროს დაარსდა, როდესაც მთავრობა დაიბნა და რევოლიუციონერებს ფეხ-ქვეშ ეგებოდა. ეს ხანა საშინელი ხანა იყო: არ შეგვეძლო კარში გამოსვლა; ასე გასინჯეთ მორწმუნეებს პირჯვარის გადაწერასაც კი უშლიდნენ: მუშები ძალით მიჰყავდათ ორგანიზაციებში. აი, სწორედ ამ დროს დაარსდა „კავშირი“. ამის შემდეგ ყველა პატიოსანმა რუსმა დაისვენა. „კავშირს“ არავითარი სამხედრო ორგანიზაცია არა ჰქონია. მართალია, „კავშირის“ წევრები იარაღს იძენდნენ, მაგრამ ყველაფერი ეს კანონიერ საფუძველზე ხდებოდა. ჩვენ ჩვენი ცოლშვილის და ნათესავების დასაცველად მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს დურნოვოს და პეტერბურგის გრადონაჩალნიკს განსვენებულ ფონ-ლაუნიცს მივმართეთ, მაგრამ გვითხრეს, რომ პატიოსან რუსების დასაცველად სალდათები არა გვყავსო. დურნოვო და ფონ-ლაუნიცი გვეუბნებოდნენ: „თქვენი თავი თვითონ დაიცავით. რევოლიუციონერებს თქვენვე გაეცით პასუხი. თუ ისინი გხოცავენ, თქვენც დახოცეთო“. ის ერი ერი არ არის, რომელიც თავის დაცვას ვერ ახერხებს. მე ვფიქრობ, რომ ფინლიანდელებს ამის ახსნა არ ესაჭიროებათ. „კავშირს“ არავინ არ მოუკლავს. პირადად მე „კავშირის“ წევრებს უხსნიდი, რომ შურისძიება ცოდვაა, სირცხვილია, ქრისტიანებს მტრებიც კი უნდა უყვარდეთ მეთქი. სხვა და სხვა ჯურის ხალხი და გაზეთები ავრცელებენ, რომ „კავშირის“ წევრები დამცველ პოლიციის აგენტებად არიანო. ეს ცილისწამებაა. ჩვენ სამშობლოს ვემსახურებით და სხვა არაფერი. „კავშირის“ მიზნები და მთავრობისა სულ სხვს და სხვაა. პირადად მე დამცველ პოლიციის აგენტად არა ვყოფილვარ, რადგან ეს ჩემ რწმენას ეწინაამდეგება. რაც შეეხება გერცენშტეინის მოკვლას, იგი სოციალ-დემოკრატმა კაზანცევმა მოჰკლა. როგორც უკვე გამოირკვა, იოლოსის მოკვლა და ვიტტეს მოკვლის განზრახვაც ამავე კაზანცევის და მუშის ფედოროვის საქმეა. მეკითხებით, ტერიოკში დადიოდი თუ არაო. როგორ არ დავდიოდი. როცა ფინლიანდია და კერძოდ ტერიოკი რუსეთის რევოლიუციის ბუდედ გახდა, მაშინ ხომ ხშირად დავიწყე სიარული. ვესწრებოდი მიტინგებს, რომელზედაც მონაწილეობას იღებდნენ ბუნდოვცები, წითელი გვარდია, კაპიტანი კოკი და სხვანი. ჩვენ გვინდოდა, შეგვეტყო, საიდან უპირებდნენ დაცემას მტრები რუსეთს.

ლარიჩკინის ჩვენება უკვე იყო ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი. მოვიყვანთ მოკლედ ლარიჩკინის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი გერცენშტეინის მკვლელობას ეხებოდა. ლარიჩკინმა განაცხადა: 1906 წლის ივნისში იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ სხვა-და სხვა საზოგადო მოღვაწის სურათები დაგვირიგა და გვითხრა, თვალ-ყური ადევნეთ ამათაო. მე და პოლოვნევს გერცენშტეინის ბინის გაგება დაგვავალეს. სამი დღის შემდეგ იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ პოლოვნევს გადასცა რაღაც და უთხრა, ფრთხილად მოეკიდეო. ამას გარდა მე და კიდევ რამდენსამე კაცს გვითხრა, „ტერიოკში გავისეირნოთო“. ტერიოკში მე და კაზანცევი ერთად წავედით. მალე დანარჩენებიც ჩამოვიდნენ. პოლოვნევისთვის იუსკევიჩ-კრასკოვსკის ორი ყუმბარა მიეცა. მეორე დღეს პეტერბურგში დავბრუნდით და საღამოთი ისევ ტერიოკში ამოვედით. პოლოვნევი აქ ჟანდარმ ზახოლსკისთან დადიოდა. საქმეზე წასვლის წინ არაყი ვიყიდეთ და კარგად გადავკარით. როცა პოლოვნევი შექეიფიანდა, გვითხრა, მალე გავმდიდრდებით, სულ ავტომობილებით ვივლითო. ამის შემდეგ ზღვის პირზე წავედით და წინდა-წინვე დათვალიერებული ადგილები დავიჭირეთ. აქ ყოველ დღე დაიარებოდა გერცენშტეინი. მალე მოგვიახლოვდა გერცენშტეინი, რევოლვერი ხელში მეჭირა, მაგრამ გერცენშტეინი შემეცოდა და ვეღარ ვესროლე. გაიარა პატარა ხანმა და სროლის ხმა მომესმა, გავიქეცი იქით და საშინელი სურათი დავინახე: გერცენშტეინი სისხლში სცურავდა, იმის ახლო ქალი იდგა და ტიროდა, რად მოჰკლეს, ვის რა დაუშავაო. მე ისე შემეცოდა ქალი, რომ ქუდით ზღვიდან წყალი ამოვარბენინე და დავასხი, მაგრამ ამან არაფერი უშველა და გერცენშტეინმა იქვე დალია სული. ამის შემდეგ საჩქაროდ პეტერბურგში წავედით და იუსკევიჩ-კრასკოვსკისთან შევიყარენით. კაზანცევი არსადა სჩანდა. მალე ისიც მოვიდა და სიხარულით განაცხადა, „მორჩა, გათავდა მისი საქმეო“. გერცენშტეინის მოკვლისათვის, როგორც პოლოვნევმა გადმომცა, დუბროვინმა 1000 მან. მოგვცა, მაგრამ აქედან 700 მანეთი კაზანცევმა (ამან ესროლა გერცენშტეინს) აიღო, 300 მანეთი სხვებმა, მე 19 მანეთი და 50 კაპ. მომცესო.

ლარიჩკინის ჩვენების შემდეგ, ბულაცელმა სთქვა, ლარიჩკინი კადეტებმა მოისყიდესო. ითხოვა ჩვენება ჩამოართონ პერიშკინს (აქ, ტფილისში ნამყოფია ეს პერიშკინი), რომელსაც რევოლიუციონერებმა 16-ჯერ განუზრახეს მოკვლა, მაგრამ ამაოდ. დამსწრეებმა ამ სიტყვებზე სიცილი დაიწყეს. ბულაცელმა მიმართა სასამართლოს, დაამშვიდეთ კორესპონდენტები და ურიებიო. პრუსაკოვსა და ბულაცელს ლაპარაკი მოუვიდათ. მალე სასამართლო მოსალაპარაკებლად გავიდა და დაადგინა, აიძულოს დუბროვინი გამოცხადდეს სასამართლოში. საქმე 22 სექტემბრისათვის გადასდო. სასამართლოს დადგენილების კითხვის დროს ბულაცელმა სთქვა, მე უკვე განვაცხადე, რომ დუბროვინს ცოცხალს ვერავინ ვერ მოიყვანს აქ. თქვენ ნუ გგონიათ, შეგეძლოთ მისი მოყვანა. მას ვერავინ ვერ მოიყვანსო. თავმჯდომარემ გააჩერა ბულაცელი, თქვენ ნუსწუხდებით, დუბროვინს უთქვენოდ მოვაყვანინებთო. ბულაცელი მაინც ყვიროდა: „გიმეორებთ, დუბროვინს ვერავინ ვერ მოიყვანს. რუსეთის მთავრობა ამას ვერ იზამს. პეტერბურგში ათასობით წევრები გვყავს. თუ დუბროვინს მოიყვანენ, ყველანი სასამართლოში გამოცხადდებიანო. თავმჯდომარემ სიცილით უთხრა, მაგას ვნახავთო და სხდომა დახურა.

## წერილი რედაქციას

(ვთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ).

სოსო დავრიშევის შესახებ რუსულ და ქართულ გაზეთებში გავრცელებულ ხმების გამო პარიზელ ქართველ საზოგადოებას ჰქონდა მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „პარიზელი ქართველი საზოგადოება, იღებს რა მხედველობაში რუსეთში გავრცელებულ ხმებს ერთ მის წევრის, სახელდობრ ს. დავრიშაშვილის, პროვოკატორობაზე, ადგენს, რომ ეს საქმე **თვით საზოგადოების საქმეა** და ამიტომ იგი გამორკვეული უნდა იქნეს, რათა ამით წაშლილ იქნას ის ჩირქი. რომელიც ეცხება როგორც საზოგადოებას, ისე დაინტერესებულ პირს“

ამ რეზოლიუციის სისრულეში მოსაყვანად კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა უპირველეს ყოვლისა მიმართოს წერილობით იმ გაზეთებს, რომელთაც ამ ხმების გავრცელებას ხელი შეუწყვეს. ამ მიზნით კომისიამ „რუსსკოე სლოვოს“ რედაქციას შემდეგი წერილი გაუგზავნა: „თქვენის გაზეთის მე-158 და 159 ნომრებში დაბეჭდილი იყო თქვენის პეტერბურგელ კორესპონდენტების ცნობანი, რომელიც ეხებოდა ჩვენს თანამემამულეს და ჩვენის საზოგადოების წევრს სოსო დავრიშევს. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს თქვენის კორესპონდენტების გულწრფელობაში, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი შეცდომაში შეუყვანიათ. ასეთია დასკვნა ამ საქმის გამო პარიზელ ქართველ საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიისა. მაგრამ ვიდრე კომისია გამოამჟღავნებდეს თავის საბოლოო დასკვნას, იგი მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, გვაცნობოთ, გაქვთ თუ არა ხელთ რაიმე საბუთები, იმას გარდა, რაც მოთავსებულია თქვენი გაზეთის დასახელებულ ნომრებში? საჭიროთ ვრაცხთ დავუმატოთ, რომ კომისია თავის მხრივ განაგრძობს მუშაობას ამ საქმის გამო ზოგიერთ საზღვარ-გარეთელ ემიგრანტების დახმარებით, რომელნიც დაახლოვებით იცნობენ დავრიშევის მოღვაწეობას, როგორც კავკასიაში, ისე დასავლეთში. უკეთუ თქვენი რედაქცია არავითარ პასუხს არ მოგვცემს, იძულებული ვიქნებით ვიფიქროთ, რომ მას დასამტკებელი რამ არა მოეძევება რა, და კომისია თავის მუშაობას განაგრძობს ამის და მიხედვით.

რადგან თითქმის იმავე ხასიათის წერილი, როგორიც დაისტამბა „რუსსკოე სლოვო“-ში, მოათავსა ქართულმა გაზეთმა „ჩანგმაც“ (№ 18), კომისიას აქვს პატივი მიმართოს ამ გაზეთის რედაქციასაც იმავე წინადადებით, როგორითაც მან მიმართა „რუსსკოე სლოვოს“ რედაქციას.

ამასთან კომისიას ჰგონია, რომ ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფები ყურადღებას მიაქცევდნენ ამ საქმეს და მას დაწვრილებით გამოიკვლევდნენ ადგილობრივ და ამით ხელს შეუწყობდნენ ჭეშმარიტების აღდგენას.

კომისიის მანდობილობით **ალექსანდრე გაბუნია.**

20, Avene de Clichy, Livry (Seto.) France.

## რუსეთი

✦ **ცეცხლის მქრობელი რაზმები ქალაქების ხელში.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ცეცხლის მქრობელი რაზმები ქალაქის თვითმართველობებს დაუქვემდებაროსო.

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ შუამდგომლობა.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს „კავშირის“ ყველა განყოფილებისთვის მიუწერია, დეპეშით ითხოვეთ, რომ მთავრობამ ფინლიანდიას ავტონომია წაართვასო

„კავშირის“ დეპუტაციას იუსტიციის მინისტრთან უშუამდგომლია, გერცენშტეინის მოკვლის საქმე რუსულმა სასამართლომ გაარჩიოსო.

✦ **სემინარიების რეფორმა.** „რანეე უტრო“ იუწყება: სინოდთან არსებულმა სამოსწავლო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა სემინარიების რეფორმის შესახებ კანონპროექტი. ამ პროექტს განსახილველად წარუდგენენ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც მუშაობას სექტემბრიდან შეუდგება. პროექტით სემინარიაში სღვთისმეტყველო კლასებს მოემატება, ორის მაგივრად იქნება სამი კლასი, ამისდა მიხედვით დააკლდება საზოგადო განათლების კლასებს, იქნება სამი ოთხის მაგივრად. პროექტის ავტორების აზრით, პროექტების მიზანია, სემინარია ისე გადაკეთდეს, რომ მოწაფეებს გაუძნელდეთ უნივერსიტეტებში გადასვლა.

✦ **„საერთაშორისო“ ქურდის დაპატიმრება.** 15 აგვისტოს, ეკატერინოსლავში დაუპატიმრებიათ ვინმე რაიზმანი. შემდეგ გამორკვეულა, რომ რაიზმანი ცნობილი ქურდი შუიპერია. შუიპერი მშვენივრად ლაპარაკობს ევროპიულ ექვს ენაზე და დრო გამოშვებით, ხან სად სცხოვრობს, ხან სად. ყველა ქვეყნებში მას ნაცნობები ჰყავს. თითქმის ყველა ქურდმა იცის შუიპერი და სახელიც დიდი აქვს გავარდნილი. შუპერი რამდენჯერმე დააპატიმრეს რუსეთში, მაგრამ მაინც მოახერხა გაქცევა. შუიპერი ნამეტან ცნობილია ამერიკის ქურდებში. გაჩხრეკის დროს პოლიციამ შუიპერს უპოვა ოქროს და ბრილიანტის აუარებელი ნივთები. ყალბი დოკუმენტები, სხვა და სხვა და, წესებულებების ბეჭდები და სხვა. დაჭერის დროს შუიპერს პოლიციელებისთვის უთქვამს, თქვე საცოდავებო, მეცოდებით და ამიტომ დაგეჭერინეთ. ამოდენას დადიხართ, ხან აქ ეცემით ხან იქ და მეც გადავწყვიტე ერთი წუთით მაინც მესიამოვნებინა, გაიხარეთ, ჩემთვის ხომ სულ ერთია, დღეს თუ არა ხვალ მაინც სხვაგან ამოვყოფ თავს, ციხის კედლები მე ვერ დამიჭერენო.

✦ **ახალი სესხი.** „რუსკ. ვედ.“-ს ვენიდან ატყობინებენ, რომ რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შემოდგომაზე ერთი მილიარდი მანეთის სესხი აიღოს.

## განცხადებანი

**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან ხაკ. ხაზ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—1!)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანცისა**
დაარსებული 1880 წელს.
(კოჩანკოვის-ძმების პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი**: 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—153)

**მეორე** საკომერციო სასწავლებელი კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებისა.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 31 აგვისტოს. **ორ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უეგზამენოდ მიიღებიან მეოთხე კლასში.**

სწავლის ფული წელიწადში 80 მანეთი. დროებით ადრესი: 1 თუმანოვის ქ. № 13.
(4—413—4)

**ტ. მ. ფილოიანის**
**საკომერციო ცოდნის კურსებზე**
(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—4)

**საბუღალტრო კლასსები**
**ი. ფონ-ბრენნერისა**
დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაბერეჟნის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორრესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—13)

**პროვოდნიკის**

1897 წ. 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**
**ლინოლეუმი**, აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი,
**ასბესტის კარტონი,**
**ასბესტის და ტალკის ნაბიჯა**
**ა ხ ა ლ ი რ ა მ:**
**„ს ა უ კ უ ნ ო“ ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.
**ლ ი ნ კ რ უ ს ტ ა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოე კონომიისთვის.
**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა**